ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
#22-280401

ქ. თბილისი 28 აპრილი 2022 წელი

ერთის მხრივ სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“ (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის ლაშა გუნიას სახით და მეორეს მხრივ, ფ/პ გრიგოლ როყვა (შემდგომში მიმწოდებელი), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ - (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ - (შემდგომ „შემსყიდველი“) ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.3. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;
1.6. ელექტრონული ხელმოწერა - ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის ხელმოსაწერად გამოიყენება;
1.7. ელექტრონული შტამპი - ელექტრონულ მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც დაერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და ელექტრონული დოკუმენტის მთლიანობისა და წარმომავლობის სისწორის დასადასტურებლად გამოიყენება.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით ქ. ბათუმის რეგიონალური განყოფილების ოფისის გარე პერიმეტრზე შემზღუდველი ღობის მოწყობის სახელმწიფო შესყიდვა (შემდგომში – მომსახურება) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
2.2. ხელშეკრულების საგნის კლასიფიკატორის კოდი: CPV45342000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **1020.41 (ათასოცი ლარი და ორმოცდაერთი თეთრი)** ლარს.
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა საფუძველზე.
4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ქ. ბათუმის რეგიონალური განყოფილების უფროსი სოფიო შამილიშვილი.
5.2. მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

6.1. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი, N247დ.
6.2. მომსახურების გაწევა განხორციელდება 2022 წლის 29 აპრილის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევისას განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.2 პუნქტში.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
8.2. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ნაწილობრივი შესრულების ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.
8.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით

გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.5. მხარე ვალდებულია 9.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და მომსახურების გაწევაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. მომსახურების ხარისხი

11.1.მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი პასუხობს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1.ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. შეტყობინების განხორციელება

13.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
13.2. ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მხარეთა უფლებამოსილი პირები არიან: შემსყიდველის მხრიდან - თეონა ჯალაბაძე (ტელ.: 555 10 09 60, ელ.

ფოსტა: tjalabadze@lta.gov.ge), მიმწოდებლის მხრიდან - გრიგოლ როყვა (ტელ.: 593 759-025, mate153@mail.ru).

13.3. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13.4. მიმწოდებელი ვალდებულია, წინამდებარე მუხლში მითითებული მონაცემების ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაგზავნილი ინფორმაცია ჩაითვლება სათანადო წესით მიწოდებულად.

14. დამატებითი პირობები

14.1.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით/ელექტრონული შტამპით.

14.2.ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 მაისის ჩათვლით.

შემსყიდველი:
სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო
მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #16
საიდ. კოდი: 205297935
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში №707217057

მიმწოდებელი:
ფ/პ გრიგოლ როყვა
მის: ქ. ბათუმი ხარიტონ ახვლედიანის ქუჩა N 12
პ/ნ 61001020812
ბანკი: საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ნ: GE47BG0000000533935785

დირექტორის მოადგილე
ლაშა გუნია

გრიგოლ როყვა

Lasha Gunia 01025010715
Digitally signed by Lasha Gunia
Date: 2022.04.28 12:23:29

Grigol Rokva 61001020812
Digitally signed by Grigol Rokva
Date: 2022.04.28 18:20:49